

ბრიზოლ როგაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

**თბილისი
2008**

სარჩევი

1. პრეამბულა	3
2. კოდექსის მიზნები	3
3. საქმიანობის პრინციპები	3
4. სტუდენტის სტატუსი	4
5. სტუდენტის უფლებები	4
6. სტუდენტის პასუხისმგებლობა	5
7. სტუდენტის მხარდაჭერა	5
8. სამართლებრივი ურთიერთობა	6
9. ქცევის ეთიკა	6
10. აკადემიური ეთიკა	8
11. დისციპლინა	8
12. პროცედურა აკადემიური უფლებების მიზნით ბაცდენის შემთხვევაში	9
13. პროცედურა მენტორინგის სხვა მიზნით ბაცდენის შემთხვევაში	9
14. ინფორმაციით სარგებლობა	9
15. ფინანსური დისციპლინა	10
16. სასწავლო რესურსით სარგებლობა	10

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

1. პრეამბულა

უნივერსიტეტი სრულად აცნობიერებს საკუთარ როლს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და საზოგადოებრივი კულტურის განვითარების საქმეში - ითვალისწინებს შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, თავის ძალისხმევას მიმართავს მაღალი საგანმანათლებლო სტანდარტის დანერგვისათვის.

...მაგრამ, ამავე დროს, კარგად ესმის, რომ ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია სტუდენტთა მხრიდან საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარების გარეშე, ამიტომ სტუდენტი განიხილება სწავლისა და სწავლების პროცესის მთავარ სუბიექტად, რომელიც, უნივერსიტეტთან ერთად, თანაზომიერად აგებს პასუხს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაზე

უნივერსიტეტისათვის ამოსავალი პრინციპია: “თითოეულ სტუდენტს მხარდაჭერის მაქსიმუმი, თითოეული სტუდენტისაგან შესაძლებლობის მაქსიმუმი”

თავის მხრივ სტუდენტს გააზრებული აქვს, რომ საკუთარი უნივერსიტეტის მაღალი საზოგადოებრივი იმიჯი პირდაპირპროპორციულად აისახება მისი, როგორც მომავალი სპეციალისტის იმიჯზე.

წინამდებარე კოდექსი იქმნება უნივერსიტეტის ფუნქციური როლისა და მის წინაშე დასახული ამოცანების გათვალისწინებით, სტუდენტის მიერ საკუთარი უფლებამოსი-ვალებების კეთილსინდისიერად შესრულებისა და საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი და ეთიკური ნორმების დამკვიდრების მიზნით. ამისთვის ის აწესებს ზნეობრიობის მაღალ სტანდარტებს და ქცევის რეგულირების მექანიზმებს.

2. კოდექსის მიზნები

1. კოდექსი მიზნად ისახავს:

- ა) შექმნას სტუდენტთა ქცევის ერთიანი მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობების მაღალი პასუხისმგებლობით განხორციელებას.

3. საჭიანობის პრინციპები

1. უნივერსიტეტის სუბიექტებს შორის ურთიერთობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- ა) თანასწორუფლებიანობა - ყველა სტუდენტი თანასწორუფლებიანია განურჩევლად რასის, სქესის, რელიგიური მრწამსის, პოლიტიკური შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა.
- ბ) სამართლიანობა - უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის მიმართ თანაბრად ვრცელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესები.

- გ) გამჭვირვალობა - უნივერსიტეტის საქმიანობაში გადაწყვეტილებების მიღება გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი ყველასათვის, გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა.
- დ) ურთიერთპატივისცემა – ურთიერთობა, უნივერსიტეტის სუბიექტებს შორის ემყარება ურთიერთპატივისცემას, კორექტულობას, თავაზიანობას.
- ე) აკადემიური თავისუფლება და კეთილსინდისიერება – სტუდენტი თავისუფალია აკადემიური და/ან კვლევითი პროგრამის/ცალკეული დისციპლინის არჩევანში, მაგრამ, ამავე დროს, ზედმიწევნით იცავს აკადემიური ეთიკის ნორმებს
- ვ) არჩევითობა – ყველა სტუდენტს შეუძლია აირჩიოს და იყოს არჩეული უნივერსიტეტის და თვითმართველობის სხვადასხვა დონის არჩევით ორგანოში.

4. სტუდენტის სტატუსი

1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის სწავლისა და სწავლების პროცესის სუბიექტი, რომელიც უნივერსიტეტთან ერთად, თანაზომიერად აგებს პასუხს, არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, უმაღლესი აკადემიური განათლების მიღების ხარისხზე.
2. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები რეგულირდება შესაბამისი წესებით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

5. სტუდენტის უფლებები

უნივერსიტეტის წესდების თანახმად სტუდენტს უფლება აქვს:

1. მოითხოვოს სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნა.
2. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში.
3. აირჩიოს, საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ცალკეული აკადემიური კურსები და დამატებითი პროგრამა (გარდა რეგულირებადი პროფესიებისა).
4. დასვას საკითხი ახალი კურსების შემუშავებასა და დანერგვაზე.
5. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გაცვლით და სხვა საერთაშორისო პროგრამებში.
6. მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესისა და პროფესორ-მასწავლებელთა შეფასებაში.
7. სათანადო ეტიკეტის დაცვით, არგუმენტირებულად დასვას საკითხი ცალკეული პროფესორისა თუ მასწავლებლის შეცვლის შესახებ.

8. გამოავლინოს ინიციატივა და ორგანიზაცია გაუწიოს სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და აქციებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის პოლიტიკას.
9. მეორე აკადემიური წლიდან გადავიდეს სხვა სასწავლებელში, ისე როგორც სხვა სასწავლებლის სტუდენტს შეუძლია გადმოსვლა შესაბამისი კრედიტების ცნობის და კონკურსის შედეგების საფუძველზე, ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში.
10. უნივერსიტეტის ფარგლებში, ნებისმიერ აკადემიურ წელს შეიცვალოს სპეციალობა კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.
11. აიღოს აკადემიური შვებულება არა უმეტეს ერთი წლის ვადით, ხოლო მთელი საგანმანათლებლო ციკლის მანძილზე არაუმეტეს ორჯერ. განსაკუთრებული შემთხვევები განიხილება ადმინისტრაციასთან და მიიღება ცალკე გადაწყვეტილება.
12. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ საგრანტო და საერთაშორისო მობილობის კონკურსებში.

6. სტუდენტის პასუხისმგებლობა

სტუდენტი ვალდებულია:

1. შეასრულოს მის მიერ არჩეული აკადემიური პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.
2. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმები და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. პატივი სცეს უნივერსიტეტის ტრადიციებს, გაუფრთხილდეს მის ქონებას.
4. დაესწროს ყველა მეცადინეობას, შეასრულოს აკადემიური პროგრამით დადგენილი სამუშაო.
5. ისწრაფვოს სტუდენტურ კოლექტივში ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შესაქმნელად.
6. სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობის დროს დაიცვას სათანადო ეთიკის ნორმები.

7. სტუდენტის მხარდაჭერა

1. სტუდენტის მიერ გამოვლენილი ინიციატივები და დასმული წინადადებები უნივერსიტეტის მუდმივი ყურადღების ცენტრშია – სწავლობს და ხელს უწყობს მის განხორციელებას.

2. აკადემიური პროგრესის მიღწევისათვის დახმარების მიზნით უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის დატვირთვაში სტუდენტებთან ინდივიდუალური საკონსულტაციო მუშაობის საათებს.
3. უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტუდენტის სოციალური მხარდაჭერისა და აკადემიური პროგრესის სტიმულირების პროგრამებს.
4. უნარშეზღუდული სტუდენტებისათვის უნივერსიტეტი ქმნის ისეთ გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას სტუდენტურ საზოგადოებაში, მისცემს საშუალებას მიიღონ სრულფასოვანი განათლება.
5. უნივერსიტეტი წაახალისებს პროფესორ-მასწავლებლებს სტუდენტთა ჩართვისათვის საკუთარი სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში.
6. სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფას ხელს უწყობს სტუდენტური სერვისის სამსახური.

8. სამართლებრივი ურთიერთობა

1. სტუდენტებთან სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება გენერალური და შემადგენელი ხელშეკრულებით. მისი ხელმოწერლობა, სტუდენტის მხრიდან, განიხილება როგორც საფუძველი, პირადი სურვილით, სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის.

9. ქცევის ეთიკა

1. სტუდენტის ქცევა არ უნდა სცილდებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, ამ კოდექსით და უნივერსიტეტში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ წესებს.
2. ეს კოდექსი განასხვავებს ქცევის ეთიკის დარღვევის მძიმე და მსუბუქ ფორმებს.
3. ქცევის ეთიკის მძიმე დარღვევად ჩაითვლება:
 - უნივერსიტეტის შენობის, ინვენტარის, აღჭურვილობის შეგნებულად დაზიანება, მოპარვა;
 - კონფლიქტური სიტუაციის შექმნა, მათ შორის, ძალადობის ნებისმიერი გამოვლენით ან მონაწილეობა ამ პროცესში
 - ბილწისიტყვიერი, დამამცირებელი მიმართვა ან შეურაცხყოფილი მოქმედების განხორციელება სტუდენტებისა და თანამშრომლების მიმართ;
 - აღკოპოლის და/ან ნარკოტიკული ზემოქმედების მდგომარეობაში ყოფნა უნივერსიტეტში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე;

4. მე-3 პუნქტით დადგენილი დარღვევების ერთ-ერთი ფორმით გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტს უპირობოდ შეუწყდება სტატუსი, ხოლო თუ, ამავე დროს, უნივერსიტეტს მიაღება მატერიალური ზარალი - დაეკისრება ფინანსური სანქცია.

5. ქცევის ეთიკის მსუბუქ დარღვევად ჩაითვლება:

- ა) სიგარეტის მოწვევა დერეფანსა და აუდიტორიებში;
- ბ) მობილური ტელეფონის გამოყენება მეცადინეობის პროცესში;
- გ) აუდიტორიაში, მეცადინეობის დროს, უნებართვო მოძრაობა;
- დ) უცხო პირების მოწვევა უნივერსიტეტში;
- ე) უმისამართო ბილწისიტყვაობა უნივერსიტეტის შენობაში;
- ვ) ყველა სხვა გადაცდომა, რომელიც ხელს შეუშლის უნივერსიტეტის სასწავლო-კვლევით და ორგანიზაციულ საქმიანობას და შელახავს სხვა პირთა ღირსებას.

6. მე-4 პუნქტით განსაზღვრული დარღვევების ერთ-ერთი ფორმით გამოვლენა განიხილება ინდივიდუალურად შემდეგი პროცედურით:

- ა) თუ სტუდენტი შემჩნეულია ქცევის ეთიკის რაიმე სახით დარღვევაში საკითხს განიხილავს დეკანატი, შედგება განხილვის ოქმი ან აქტი;
- ბ) მეორედ ქცევის ეთიკის რაიმე სახით დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გაფრთხილება, რაზეც დგება ოქმი ან აქტი;
- გ) მესამედ ქცევის ეთიკის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა წერილობითი შეტყობინება, წინადადებით, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის შესახებ.
- დ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლამდე, დისციპლინური გადაცდომის გამოვლენისთანავე სტუდენტს უპირობოდ შეუწყდება სტატუსი.

7. მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის შესახებ დეკანატი ნებისმიერი ფორმით ატყობინებს სტუდენტის მშობელს, მაგრამ ამის შეუძლებლობა არ ზღუდავს გადაწყვეტილების მიღებას.

8. ქცევის ეთიკის დარღვევის აღკვეთისათვის უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

9. ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარების პროცედურის ან შედეგების მიმართ პრეტენზიის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ორგანოს.

10. აკადემიური ეთიკა

1. აკადემიური პროცესის ორგანიზება და განხორციელება ეფუძნება ამ პროცესის სუბიექტთა ქცევის გარკვეულ სტანდარტს, რომელიც ქმნის ეთიკის ზოგად ნორმებს.
2. კადემიური ეთიკის დარღვევად ჩაითვლება:

პლაგიატობა - გულისხმობს სხვისი ნაშრომის, იდეის, აზრის გამოყენებას ავტორის/წყაროს მითითების გარეშე. პლაგიატობის გამოვლენის შემთხვევაში წარდგენილი ნაშრომი ფასდება F-ით.

გადაწერა-კარნახი - გულისხმობს ერთი სტუდენტის მიერ მეორის ნამუშევრით სარგებლობას/გადაწერას, მათ შორის, საშინაო დავალების შესრულებისას; გამოცდებზე ან შუალედური შეფასების დროს წიგნებისა ან კონსპექტების გამოყენებას; შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე კარნახს.

ასეთ შემთხვევებში, ლექტორი უფლებამოსილია მოხსნას სტუდენტები გამოცდიდან, ხოლო გადაწერის ფაქტის მოგვიანებით აღმოჩენისას, ორივე ნაშრომი შეაფასოს F-ით.

ფალსიფიკაცია გულისხმობს ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენას სახეცვლილებით, მათ შორის, სათაურის შეცვლით; ყალბი ინფორმაციის და მონაცემების მოტანას; შეფასების შედეგების გაყალბებას და ა.შ. ამ შემთხვევაში ნაშრომი უარყოფითად ფასდება.

11. დასწრება

მეცადინეობებზე დასწრება სტუდენტის სოციალური როლის მთავარი მახასიათებელი და მისი სამუშაო დროის აუცილებელი კომპონენტია.

1. მეცადინეობებზე დასწრება სავალდებულოა. შეფასების საერთო სისტემაში გაცდენას გარკვეული პროცენტული წილი აქვს და აისახება საბოლოო შეფასებაზე. სემესტრში 12 საათზე მეტი არასაპატიო/გაურკვეველი მიზეზით გაცდენის შემთხვევაში დეკანატი უფლებამოსილია მიიღოს ადმინისტრაციული ზომები სტუდენტის სტატუსის შეჩერების ჩათვლით.
2. საპატიოდ ჩაითვლება მხოლოდ ის საათები, რომელსაც, დასაბუთების შემდეგ, დეკანატი ჩათვლის მისაღებად, მაგრამ საერთო შეფასებაზე ეს საათებიც აისახება.
3. ხუთ წუთზე მეტი დაგვიანება ითვლება არასაპატიოდ, მაგრამ ეს ნორმა ვრცელდება დილით, მხოლოდ პირველ მეცადინეობაზე. მომდევნო მეცადინეობებზე დაგვიანება ავტომატურად ითვლება არასაპატიოდ. ლექტორი უფლებამოსილია არ დაუშვას დაგვიანებული სტუდენტი.
4. საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა ან უბედური შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია ახლო ნათესავებთან (კანონმდებლობით განსაზღვრულია ახლო ნათესავთა წრე).

12. პროცედურა ავადმყოფობის მიზეზით გაცდენის შემთხვევაში

1. უნივერსიტეტში გამოცხადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, წარმოდგინილ უნდა იქნეს სამედიცინო ცნობა ფორმა 100. ამასთან, სავალდებულოა – ავადმყოფობის პერიოდში დეკანატის ინფორმირება ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით.
2. თუ მეცადინეობების გაცდენა, ავადმყოფობის მიზეზით, სისტემატურ ხასიათს ატარებს - საკითხი უნდა დადგეს აკადემიური შვებულების აღების ან სასწავლო კურსების ხელმეორედ გავლის შესახებ.

13. პროცედურა მეცადინეობის სხვა მიზეზით გაცდენის შემთხვევაში

1. თუ მეცადინეობის გაცდენა დაკავშირებულია უბედურ შემთხვევასთან სტუდენტი წინასწარ მიმართავს განცხადებით დეკანს. თუ დეკანისაგან დასტური არ იქნება მიღებული გაცდენილი საათები ჩაითვლება არასაპატიოდ.
2. თუ განცხადების დაწერა წინასწარ ვერ ხერხდება – აუცილებელია, უნივერსიტეტში გამოცხადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, დაიწეროს განცხადება, რომელითაც დასაბუთდება გაცდენის მიზეზი. ამ შემთხვევაშიც დეკანი უფლებამოსილია შეამოწმოს ინფორმაციის ნამდვილობა.
3. როგორც წესი, საპატიოდ ითვლება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ორი მიზეზი, მაგრამ თუ სტუდენტს მიაჩნია, რომ მეცადინეობის გაცდენა გარდაუვალი აუცილებლობით არის გამოწვეული დეკანატს შეუძლია განიხილოს ეს მოტივიც, მაგრამ შესაძლებელია წარდგენილი არგუმენტი მიუღებელი იყოს – განსაკუთრებით მაშინ, თუ პირადი მიზეზით გაცდენის შემთხვევები სისტემატური ხასიათისაა.
4. უნივერსიტეტი უშვებს გაუთვალისწინებელი მიზეზით მეცადინეობის გაცდენის შემთხვევებს. ამისათვის გათვალისწინებულია სემესტრში 12 საათის გაცდენა, რომელიც ავტომატურად ითვლება საპატიოდ დასაბუთების გარეშე. ამაზე მეტი დროით მეცადინეობების გაცდენისათვის სავალდებულოა არგუმენტირებული განცხადება, მაგრამ შესაძლებელია ისიც არ იქნეს გათვალისწინებული.

14. ინფორმაციით სარგებლობა

1. უნივერსიტეტში ძირითადი საინფორმაციო წყაროებია უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და საინფორმაციო დაფები, რომელიც მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენების მართვასა და ამ მოვლენებში სტუდენტთა მონაწილეობის თვალსაზრისით.
2. სტუდენტი ვალდებულია თვალყური ადევნოს ორივე საინფორმაციო წყაროს. ყოველი სამართლებრივი აქტი, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და/ან საინფორმაციო დაფებზე ითვლება ძალაში შესულად, შესაბამისად, მიზეზი ინფორმაციის არ ცოდნის შესახებ, არ ჩაითვლება სფუპვლად ამ აქტებით დადგენილი ნორმიდან გადაცდომის გასამართლებლად.

15. ფინანსური დისციპლინა

1. სტუდენტს ფინანსური ვალდებულება (რაც გამოიხატება სწავლის და/ან დამატებითი სერვისის სახელად) წარმოეშვა მისი ჩარიცხვის დღიდან, მოელი კალენდრული წლის მანძილზე, შემადგენლი ხელშეკრულებით დადგენილ პერიოდზე გაანგარიშებით – ეს ვალდებულება სტუდენტს ეხსნება სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის მომენტიდან.
2. საბუთების გატანის შემთხვევაში (ნებისმიერი მიზეზით) თუ სტუდენტს გადახდილი აქვს სწავლის და/ან დამატებითი სერვისის სახელად – უბრუნდება ამ სახელად ის ნაწილი, რომელიც დადგინდება კალენდრული წლის იმ პერიოდზე გაანგარიშებით, ვიდრე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ.
3. თუ სტუდენტს ფინანსური დავალიანება (დამატებითი სერვისის სახელად ჩათვლით) წარმოეშვა, სტუდენტის სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე, იგი ვალდებულია დაფაროს სახელად ის ოდენობა, რაც დადგინდება ამ აქტის გამოცემამდე პერიოდზე გაანგარიშებით
4. გაუთვალისწინებელი ფინანსური პრობლემის შემთხვევაში, სტუდენტმა დაუყონებლივ უნდა მიმართოს რექტორს დასაბუთებული განცხადებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომატურად შევა ძალაში სტუდენტის სტატუსის შეჩერების პროცედურა.

16. სასწავლო რესურსით სარგებლობა

1. უნივერსიტეტის რესურსებით სარგებლობისას სტუდენტი ვალდებულია დაიცვას მოხმარების შესაბამისი წესები.
2. ტექნიკის ან ფიზიკური რესურსის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია აანაზღაუროს ზარალი.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი

მამუკა თავხელიძე

თბილისი,

2008 წლის 23 მაისი

რეგისტრაციის № 03/09

